ხელშეკრულება #II-1/16

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. მცხეთა **2022წ.**

ერთის მხრივ, სსიპ „ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი“, (შემდგომში - „შემსყიდველი“) მისი დირექტორის ანდრო ბედუკაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს ტერმინალ ვესტ თრეიდინგი (შემდგომში - „მიმწოდებელი“) მისი დირექტორი რუსლან შულდიკი წარმოდგენილი მინდობილი პირის ნინო სიჭინავას (მინდობილობა #34 21.12.21წ. ვადით 2022 წლის 31 დეკემბერი, პ/ნ 01016005748) სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. სსიპ „ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი“-ს საკუთარი შემოსავლების სახსრებიდან **CPV - 39224210 - საღებავის ფუნჯები** შეძენა (საფუძველი: ტექნიკური თანამშრომლის - ზურაბ ზარანდიას 2022 წლის 1 ივლისის #025 მოხსენებითი ბარათი).

2. ხელშეკრულების ობიექტი და ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს, 2022 წლის 2 აგვისტოს ილია ჭავჭავაძის 185 წლის საიუბილეო ღონისძიების გამართულად ჩატარების უზრუნველსაყოფად შემდეგი საქონლის შეძენა:

(ლარი)

№	არტიკული	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირ-ბა დღგ-ს ჩათვლით	სულ ღირ-ბა (დღგ-ს ჩათვლით)
1	8031337	ლილვაკი სახელურით 25 სმ Eurofaza 0111-704825 **(CPV - 39224210 - საღებავი ფუნჯები)**	ცალი	1	18.20	18.20
2	8030303	ტელესკოპიური ღერო მეტალის 3მ **(CPV - 39224210 - საღებავი ფუნჯები)**	ცალი	1	22.60	22.60
3	8030020	ფუნჯი სამღებრო - პლასმასის ტარით 2,5 **(CPV - 39224210 - საღებავი ფუნჯები)**	ცალი	1	10.30	10.30
4	8030023	ფუნჯი სამღებრო - პლასმასის ტარით 4,0 **(CPV - 39224210 - საღებავი ფუნჯები)**	ცალი	1	25.65	25.65
5	8030021	ფუნჯი სამღებრო - პლასმასის ტარით 3,0 **(CPV - 39224210 - საღებავი ფუნჯები)**	ცალი	1	14.45	14.45
6	8031792	ლილვაკი სამღ.სახელურით 10 სმ., 500961173 **(CPV - 39224210 - საღებავი ფუნჯები)**	ცალი	1	5.85	5.85
სულ ჯამი:						**97.05**

2.2. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მთლიანი ღირებულება შეადგენს **97.05 (ოთხმოცდაჩვიდმეტი ლარი და 05 თეთრი) ლარს** დღგ-ს ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა და ადგილი

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდების ვადა: 2022 წლის 15 ივლისის ჩათვლით.

3.2. მოწოდების ადგილი: ქ. თბილისი, ქართულ-ამერიკული მეგობრობის ქ. #25.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემოწმებით თუ მოწოდებული საქონელი აკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნას, მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც ელექტრონული ხელმოწერებით უნდა დაამოწმონ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილმა პირებმა.

4.2. საქონელი ჩაითვლება სრულად მიწოდებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1. საქონლის შესყიდვის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება ფაქტიურად მოწოდებულ საქონელზე წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებების, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის და ორმხრივად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

5.2. ანგარიშსწორება იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში, მიმწოდებლის რეკვიზიტებში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

6. მხარეთა ძირითადი უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

6.1.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

6.1.2. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე;

6.1.3. მოსთხოვოს მიმწოდებელს დეტალური ინფორმაცია მისაწოდებელი საქონლის შესახებ.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

6.2.1. გადაიხადოს საქონლის ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და ოდენობით;

6.2.2. საქონლის მიწოდებისას საქონლის ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მიმწოდებელს და მოითხოვოს ნაკლის აღმოფხვრა;

6.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობები.

6.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

6.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

6.3.2. მოითხოვოს შემსყიდველისგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

6.4.1. მოაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი;

6.4.2. საქონლის მიწოდებისას საქონლის ნაკლოვანების გამოვლენის შემთხვევაში თავისი ხარჯით უზრუნველყოს აღნიშნული ნაკლის გამოსწორება;

6.4.3. წინასწარ აცნობოს მოსალოდნელი შეფერხების შესახებ;

6.4.4. ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

7.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალებულებების დარღვევის შედეგად მიყენებულ ზიანისთვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხის აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.01% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს საქონლის მოწოდების ვალდებულებისაგან.

7.3. თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს საანგარიშსწორებო პერიოდისათვის მოსაწოდებელი საქონლის ღირებულების 10 %-ს შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

8.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ საქონლის მიწოდებისას განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

8.2. თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს და არსებული სტანდარტების მოთხოვნებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად, ან მის გარეშე ადგენს აქტს შესაბამისი წესის შესაბამისად.

8.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებით და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.4. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს, ტექნიკური თანამშრომელი - ზურაბ ზარანდია.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.4. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

11.2. მიმწოდებელს უფლება აქვს ვადაზე ადრე მაწოდოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი.

11.3. ხელშეკრულებით ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა მხარეებს არ ათავისუფლებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და მოწოდებული საქონლის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

12. დავების გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ხელშეკრულების ირგვლივ წარმოქმნილი ნებისმიერი უთანხმოება და დავა.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს დავის გადაწყვეტის დადგენილ წესს.

13. დასკვნითი დებულებანი

13.1. „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაში მხარეების მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

13.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

13.3. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.4. მესამე პირთან ურთიერთობაზე მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯითა და რისკით.

13.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია ელექტრონულად. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ „ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი“	შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“
საიდ. კოდი: 236067224	მის/იურ: ქ. თბილისი, თვალჭრელიძის ქ., №2.
მის: მცხეთის რ-ნი, სოფ. საგურამო.	მის/ფაქტ: ქ. თბილისი, ქართულ-ამერიკული
ტელ: 593 900 934.	მეგობრობის ქ. #25.
მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა	ტელ: +995 (322) 505050; (ნინო) .
მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში	საიდენტ: 406119178
ბანკის კოდი - TRESGE22	სს „თიბისი ბანკი“ - კოდი: TBCBGE22
ელ.ფოსტა: mbirtvelishvili1@gmail.com	ა/ა GE83TB7920036020100004
	ელ. ფოსტა: N.Sichinava@domino.com.ge

ანდრო ბედუკაძე დირექტორი	ნინო სიჭინავა მინდობილი პირი
Andro Bedukadze 01022008191 Digitally signed by Andro Bedukadze Date: 2022.07.06 15:39:52	Nino Sitchinava 01016005748 Digitally signed by Nino Sitchinava Date: 2022.07.08 16:36:14

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ. მცხეთა **2022წ.**

ქვემოთ ხელის მომწერნი, ხელშეკრულების #**II-1/16** გაფორმებაზე უფლებამოსილი პირი და ხელშეკრულების ინსპექტირების წევრები ვადასტურებთ, რომ აღნიშნული შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

დირექტორი: - ანდრო ბედუკაძე

ტექნიკური თანამშრომელი: - ზურაბ ზარანდია